ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება №108

2019 წლის 29 მარტი

ქ. რუსთავი

„ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის ოდენობის განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 26 თებერვლის №68 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტეროტორიის დასუფთავების მოსაკრებლის ოდენობის განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 26 თებერვლის №68 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 04.03.2015წ., 210020010.35.160.016278) შევიდეს შემდეგი სახის ცვლილებები:

ა) დადგენილების პირველი მუხლის „ა“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) ფიზიკურ პირთათვის ერთ სულ მოსახლეზე 0.40 ლარი. ოჯახის წევრთა რაოდენობის მიუხედავად, სულადობის მაქსიმალური ზღვრული ოდენობა განისაზღვროს 4 (ოთხი) სულით;“;

ბ) დადგენილებას დაემატოს **მუხლი 1[1]** და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 1[1]**

დასუფთავების მოსაკრებლის გადახდისგან სრულად გათავისუფლდნენ ფიზიკური პირები, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 57 000-ის (ორმოცდაჩვიდმეტი ათასი).“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ლევანი ონიანი**